



შპს ინტერბიზნესის აკადემიას, საქმიანობიდან გამომდინარე, გააჩნია ორი ტიპის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ბაზა, ერთი პარტნიორი კომპანია რომლებთანაც პროფესიული სტუდენტები გადიან მხოლოდ პრაქტიკულ კომპონენტს და მეორე ტიპის პარტნიორი დამსაქმებელი კომპანიები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ და აქტიურად თანამშრომლობენ აკადემიასთან, ჩართულები არიან სწავლების პროცესში და ორიენტირებულები არიან კადრის მომზადებაზე საკუთარი კომპანიისთვის. ასეთებს წარმოადგენენ PSP - ფარმა, სს კრედო ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“, სს კ.ერისთავის ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი, „ავერსის კლინიკა“, შპს „მაზერი“, სს „გუდვილი“, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები და ვაკანსიებზე დასაქმება ხდება აკადემიის კურსდამთავრებულებისათვის უპირატესობის მინიჭებით საქართველოს მასშტაბით, ყველა მათ ფილიალში.

შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ფუნქციონირებს კარიერული დაგეგმვის მომსახურება, რომელსაც უძღვება კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი. კარიერული დაგეგმვის მომსახურება ხელმისაწვდომია აკადემიის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. აკადემიაში პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით ტარდება შიდა ტრენინგები, როგორც კარიერული დაგეგმვის სპეციალისტის მიერ, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწვეული სპეციალისტების მიერ: CV - შექმნაში, სამოტივაციო წერილის შედგენაში და „როგორ გავიარო გასაუბრება წარმატებულად“. შექმნილია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ფეისბუქის გვერდი, რომლითაც მუდმივად მიეწოდებათ განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რისთვისაც აკადემიას აქვს შეთანხმება დასაქმების ვებ-გვერდების ადმინისტრატორებთან და აკადემიის ინტერესთა სფეროს შესაბამისად პერიოდულად მოგვეწოდება ბაზარზე არსებული ვაკანსიები. აკადემია აქტიურად მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში.

ამონაწერი აკადემიის დებულებათა კრებულიდან

21.5. კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი

21.5.1. ეძებს აკადემიაში განხორციელებლი პროფესიული მიმართულებების ბიზნეს გარემოში მიღვაწე პირთა მონაცემს;

21.5.2. ქმნის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს;

21.5.2. ეხმარება კურსდამთავრებულებს სამსახურის მოძიებისა და კარიერასთან დაკავშირებული პრობლემების დამლევაში;

21.5.3. მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავსირებით;

21.5.4. აწყობს სტუმრის დღეებს, სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის გაცნობის მიზნით, იწვევს აკადემიაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებების წარმომადგენლებს/ დამსაქმებლებს;

21.5.5. ეხმარება პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ისეთი ცოდნის შეძენაში, როგორცაა რეზიუმეს შედგენა, სამუშაო განაცხადის შევსება და ინტერვიუსთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

21.5.6. ხარისხის მართვის სამსახურს წარუდგენს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას.

21.5.7. ასრულებს დირექტორის, ხარისხის მართვის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსების სხვა დავალებებს.

ანგარიში

შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის
თაობაზე

კვლევის მიზანი: 2020 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დასაქმების თაობაზე, კვალიფიკაციის შესაბამისად ან სხვა მიმართულებით.

კვლევის ტექნიკა: ელექტრონული- **google Forms** და სატელეფონო გამოკითხვა.

სატელეფონო გამოკითხვით, კურსდამთავრებულებმა უპასუხეს შემდეგ შეკითხვებს:

- ხართ თუ არა დასაქმებული?
- ხართ თუ არა კვალიფიკაციით დასაქმებული?
- ხართ თუ არა დასაქმებული შპს ინტერბიზნესის აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციაში?

კვლევაში (გამოკითხვაში) მონაწილეთა რაოდენობა : 105 კურსდამთავრებული;


კვლევის ჩატარების პერიოდი: 11.03.2021 წ. - 17.03.2021 წ.

კვლევა წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში და ყველა პროგრამის მონაცემები გაერთიანებულია.

პროფესიული პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო)


კვალიფიკაცია მიენიჭა 35 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მა კურსდამთავრებულმა. გამოკითხული კურსდამთავრებულებიდან კვალიფიკაციით დასაქმებულია 14, აქედან პარტნიორ ორგანიზაციაში, შპს“ პსპ ფარმაში“ - 13, ერთი კურსდამთავრებული დასაქმებულია სს“ გეფაში“ (ფარმადეპოს ქსელი). სამსახურის ძიებაშია - 16.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ შპს „პსპ ფარმას“ მიერ გრძელდება კომუნიკაცია დაუსაქმებელ კურსდამთავრებულებთან შემდგომი დასაქმების მიზნით.




პროფესიული პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი

კვალიფიკაცია მიენიჭა 21 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 17-მა კურსდამთავრებულმა. გამოკითხულთაგან კვალიფიკაციით დასაქმებულია - 8, სამსახურის ძიებაშია - 9.




პროფესიული პროგრამა - ბულალტრული აღრიცხვა

კვალიფიკაცია მიენიჭა 10 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 -მა კურსდამთავრებულმა. გამოკითხულთაგან დასაქმებულია კვალიფიკაციით - 2, სამსახურის ძიებაშია - 7. ერთი კურსდამთავრებული დასაქმებულია არაკვალიფიკაციით.




პროფესიული პროგრამა - საოფისე საქმე

კვალიფიკაცია მიენიჭა 15 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა კურსდამთავრებულმა. კვალიფიკაციით დასაქმებული არცერთი კურსდამთავრებული არ არის. სამსახურის ძიებაშია - 9, არაკვალიფიკაციით დასაქმებულია -1.



პროფესიული პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია


კვალიფიკაცია მიენიჭა 12 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 -მა კურსდამთავრებულმა. კვალიფიკაციით დასაქმებულია - 3, სამსახურის ძიებაშია - 5, ხოლო არაკვალიფიკაციით დასაქმებულია - 2 .



პროფესიული პროგრამა - საფინანსო სერვისები


კვალიფიკაცია მიენიჭა 23 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 23 -მა კურსდამთავრებულმა. კვალიფიკაციით დასაქმებულია - 9 კურსდამთავრებული, სამსახურის ძიებაშია - 3, არაკვალიფიკაციით დასაქმებულია - 11.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ და სს „კრედო ბანკის“ მიერ გრძელდება კომუნიკაცია დაუსაქმებელ კურსდამთავრებულებთან შემდგომი დასაქმების მიზნით.



კვლევა/გამოკითხვის შედეგი

დადგინა, რომ 2020 წლის 116 კურსდამთავრებულიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 105-მა. კვალიფიკაციით დასაქმებულია - 36, არაკვალიფიკაციით - 23 ხოლო სამსახურის ძიებაშია 46 კურსდამთავრებული.



ანგარიში

შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევის თაობაზე


კვლევის მიზანი: 2019 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დასაქმების თაობაზე, კვალიფიკაციის შესაბამისად ან სხვა მიმართულებით.

პერიოდი - სწავლის დასრულებიდან 6 თვე.

კვლევის ტექნიკა: გამოკითხვა სატელეფონო და სოციალური ქსელების გამოყენებით.


შერჩევის ზომა: 45 რესპოდენტი.

ანგარიშის ენა: ქართული.




პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები

კვალიფიკაცია მიენიჭა 13 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 კურსდამთავრებულმა. კვალიფიკაციით დასაქმებულია - 10, აქედან პარტნიორ ორგანიზაციებში: სს „კრედიტბანკი“ -5, და 1 - მისო კრედიტსერვის +-ში ; 2 - დასაქმებულია სს დასტარეკორდს მენეჯმენტში, 1- „ლიბერტი ბანკში“, 1 - „ნიკორა თრეიდში“. საზღვარგარეთაა - 2, დაუსაქმებელია 1-(ჰყავს ჩვილი ბავშვი).




პროფესიული პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია

კვალიფიკაცია მიენიჭა 8 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 8 კურსდამთავრებულმა. დასაქმების მაჩვენებელი - 0.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საოფისე საქმე

კვალიფიკაცია მიენიჭა 13 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12 კურსდამთავრებულმა. კვალიფიკაციით დასაქმებულია - 0. 2 - აქვს საკუთარი ბიზნესი (თვითდასაქმებული), არაკვალიფიკაციით დასაქმებულია -3, უმუშევარია - 7, საზღვარგარეთ - 1.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი

კვალიფიკაცია მიენიჭა 11 პროფესიულ სტუდენტს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 11 კურსდამთავრებულმა. კვალიფიკაციით დასაქმებულია - 7, აქედან პარტნიორ ორგანოზაციაში: სს კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი - 4, კვალიფიკაციით: 1 - შპს ვიავიტა, თსუ - 1 და აურა+ - 1. უმუშევარია - 4.

